









## გატარებები

მიმდინარე თავში განვიხილავთ თუ როგორ ხდება ორის ბულალტერიაში მარტივი და რთული გატარებების დამატება, წაშლა და კორექტირება.

**ბულალტერია/გატარებები** ოპერაციის დასამატებლად გამოიყენეთ ღილაკების სისტემიდან ღილაკი  ან კლავიატურაზე Insert ან მონაცემთა არეში დააწკაპეთ მუსის მარჯვენა ღილაკს და კონტექსტური მენიუდან აირჩიეთ ჩანაწერის დამატება.

	ჩანაწერის დამატება	Ins
	ჩანაწერის დუბლირება	Ctrl+F2
	კორექტირება	F2
	ჩანაწერის წაშლა	Del
	კოპირება (Ctrl+Shift+C)	Ctrl+C
	ჩასმა	Ctrl+V



იხილავთ ეკრანს:




ველში „ოპერაციის თარიღი“ მიუთითეთ სასურველი თარიღი.

ველში „დოკუმენტის ნომერი“ მიუთითეთ სასურველი დოკუმენტის ნომერი.

ველში „კომენტარი“ მიუთითეთ ოპერაციის კომენტარი ან აირჩიეთ სასურველი კომენტარი სიიდან. ამ შემთხვევაში მიუთითეთ „ბანკიდან სალაროში თანხის შემოტანა“

ანგარიშის მისათითებლად დადებით ველზე „ანგარიში“ აკრიფეთ ანგარიშის ნომერი ჩამოიშლება ანგარიშების სია, რომელშიც არის თქვენს მიერ აკრეფილი სიმბოლოები. ანგარიში რომელიც უნდა აირჩიოთ გატარების შესასრულებლად თუ არ არის ანგარიშთა გეგმაში დააჭირეთ ღილაკს  კორექტირება, შემდეგ ღილაკს  (ან კლავიატურაზე Alt+B), გადით ანგარიშთა გეგმაზე დაამატეთ სასურველი ანგარიში (ანგარიშის დამატება აღწერილია თავში „ანგარიშთა გეგმა“). ამ შემთხვევაში აირჩიეთ „1110“ .

ველში „დებეტი თანხა“ მიუთითეთ „100“. დაამატეთ კიდევ ერთი ჩანაწერი ღილაკით  ან კლავიატურაზე Insert ან მონაცემთა არეში დააწკაპეთ მუსის მარჯვენა ღილაკს და

კონტექსტური მენიუდან აირჩიეთ ჩანაწერის დამატება. ველში „ანგარიში“ მიუთითეთ „1210“.

როგორც ეკრანზე ხედავთ პირველი გატარება არის ყვითელი ფერის ,რაც იმას ნიშნავს, რომ არის მთავარი გატარება, ხოლო მეორე გატარება არის თეთრი ფერის. ამრიგად ორის ბუღალტერიაში ოპერაციები შედგება მთავარი და არა მთავარი გატარებებისაგან.

	ანგარიში	ანგარიშის დასახელება	დებიტი თანხა	კრედიტი თანხა	ვალუტა	ღირებულება ცენტრი	დებიტი რაოდენობა	კრედიტი რაოდენობა	ერთეული	ფულადი კატეგორია
1	1110	ნაღდი ფული ეროვნული...	100.00		GEL	საწყობი				
▶ 2	1210	ეროვნული ვალუტა...		100.00	GEL	საწყობი				
			100.00	100.00						

იმისათვის რომ სისტემაში შეინახოთ თქვენს მიერ დამატებული ოპერაცია დააჭირეთ ღილაკს „შევიწახოთ“.

ეხლა ვნახოთ თუ როგორ ხდება რთული T გატარების დამატება . იმისათვის რომ გასაგებად ავხსნათ რთული T გატარება, განვიხილოთ მინოდების ოპერაციის მაგალითი . მყიდველს მიაწოდეთ 1200 ლარის საქონელი 2021 წლის 3 ნოემბერს , ორგანიზაცია არის დღგ-ს გადამხდელი და ამავე ოპერაციაში შეასრულეთ მყიდველისაგან თანხის გადახდის გატარებაც.

დაამატეთ ოპერაცია, ველში „ანგარიში“ მიუთითეთ მყიდველის ანგარიში. ამ შემთხვევაში რადგან მიმდინარე ბაზაში არის ანგარიში „1410-3“ აირჩიეთ.

ველში „დებიტი თანხა“ მიუთითეთ „1200“ .

დაამატეთ გატარება და ანგარიშის ველში მიუთითეთ „6110-1“. ველში „კრედიტი თანხა“ მიუთითეთ „1016.94“.

დაამატეთ კიდევ ერთი გატარება , ველში „ანგარიში“ მიუთითეთ „3330“. ველში „კრედიტი თანხა“ 183.06“ .

ანალიზი ოპერაცია

ოპერაციის თარიღი: 03.11.2021 00:00:00


დოკუმენტის ნომერი: N12

ოპერაციის ტიპი:

კომენტარი:

	ანგარიში	ანგარიშის დასახელება	დებიტი თანხა	კრედიტი თანხა	ვალუტა	ღირებულება ცენტრი	დებიტი რაოდენი	კრედიტი რაოდენი	ერთეულ	ფულ კაბეც
1	1410 3	12345678910 შპს "მე...	1,200.00		GEL	საწყობი				
2	6110 1	შემოსავალი დასაბე...		1,016.94	GEL	საწყობი				
▶ 3	3330	გადასახდელი დღგ		183.06	GEL	საწყობი				
			1,200.00	1,200.00						

შემდეგი    შევინახოთ    უარი

დასრულდა გატარების ერთი პორცია სადაც აისახა მიწოდება და დღგ-ს გამოყოფა. ეხლა შეასრულეთ თანხის გადახდაც.დამატეთ ოპერაციაში კიდევ ერთი მთავარი გატარება გამოიყენეთ ღილაკი  (ან კლავიატურაზე Ctrl+Insert) .

ანალიზი ოპერაცია

ოპერაციის თარიღი: 03.11.2021 00:00:00

დოკუმენტის ნომერი: N12

ოპერაციის ტიპი:

კომენტარი:

	ანგარიში	ანგარიშის დასახელება	დებიტი თანხა	კრედიტი თანხა	ვალუტა	ღირებულება ცენტრი	დებიტი რაოდენი	კრედიტი რაოდენი	ერთეულ	ფულ კაბეც
1	1410 3	12345678910 შპს "მე...	1,200.00		GEL	საწყობი				
2	6110 1	შემოსავალი დასაბე...		1,016.94	GEL	საწყობი				
3	3330	გადასახდელი დღგ		183.06	GEL	საწყობი				
▶ 4					GEL	საწყობი				
			1,200.00	1,200.00						

შემდეგი    შევინახოთ    უარი

ველში „ანგარიში“ მიუთითეთ „1110“. „დებიტი თანხა“ მიუთითეთ „1200“ . დამატეთ კიდევ ერთი გატარება , ველში „ანგარიში“ მიუთითეთ „1410-3“. ველში „კრედიტი თანხა “ 1200“ .

ანალიზი ოპერაცია

ოპერაციის თარიღი: 03.11.2021 00:00:00

დოკუმენტის ნომერი: N12


ოპერაციის ტიპი:



კომენტარი:

	ანგარიში	ანგარიშის დასახელება	დებიტი თანხა	კრედიტი თანხა	ვალუტა	ღირებულება ცენტრი	დებიტი რაოდენი	კრედიტი რაოდენი	ერთეული	ფულადი კატეგორია
1	1410 3	12345678910 შპს "მე...	1,200.00		GEL	საწყობი				
2	6110 1	შემოსავალი დასაბე...		1,016.94	GEL	საწყობი				
3	3330	გადასახდელი დღგ		183.06	GEL	საწყობი				
4	1110	წაღდი ფული ეროგ...	1,200.00		GEL	საწყობი				
▶ 5	1410 3	12345678910 შპს "მე...		1,200.00	GEL	საწყობი				
5			2,400.00	2,400.00						

შემდეგი    შევინახოთ    უარი

დააჭირეთ ღილაკს „შევინახოთ“.

შეგიძლიათ თქვენს მიერ დამატებულ ოპერაციებში შეიტანოთ ცვლილებები. ამისათვის დადებით გასაკორექტირებელი ოპერაციის ნებისმიერ გატარებაზე და დააჭირეთ ღილაკს 

გამოსულ ეკრანში შეგიძლიათ შეიტანოთ ცვლილებები თუ შეცვლით თანხას არამთავარ გატარებაში მაშინ ოპერაციაში თანხების დასაბალანსებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ ღილაკი  დისბალანსი კორექტირება (ან კლავიატურაზე Alt+W) . დისბალანსი აიჯამება მთავარ გატარებაში. შეგიძლიათ დისბალანსი გაასწოროთ ხელით, თითოეულ ველში ცალცალკე ჩანეროთ კორექტული თანხები. როდესაც დაასრულებთ ოპერაციის ჩასწორებას დააჭირეთ ღილაკს „შევინახოთ“ რათა თქვენს მიერ შეტანილი ცვლილებები აისახოს სისტემაში. ასევე შეგიძლიათ თქვენს მიერ დამატებული ოპერაციის წაშლაც. დადებით წასაშლელი ოპერაციის ნებისმიერ გატარებაზე და დააჭირეთ  წაშლა (ან კლავიატურაზე Delete) .